დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 43 08
21/09/2018

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,,სკოლამდელი აღზრდის სამსახურისათვის'' უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4-ე და მე-6-ე პუნქტებისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5-ე პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლოდ თხოვების ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპ ,,სკოლამდელი აღზრდის სამსახურს'' მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებისათვის, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 8 (რვა) ცალი სამზარეულოს გამწოვი ბელარუსი (ბრესტი) ,,GEFEST/BO 1603 K21'', საბალანსო ღირებულებით სულ ჯამში 5472 (ხუთიათასოთხას სამოცდათორმეტი) ლარი.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე